

რედაქცია


გოლოვინის პრინციპები თვ. ივ. მუსხისხის სსს-  
ლეში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიმღებთ ტელეგრაფით, როგორც "რედაქციაში", ქუ-  
თაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა  
ადრესი Вѣ Тифлисѣ, въ редакцію „Дრობის“.

„დროების“ ფასი:

მთლიან წელს... 9 მან. წამის თვის... 3 მან.  
ქვეის თვის... 5 მან. ერთი თვის... 1 მან.



გაგონდის ყოველ-ღვინ ორშაბათს ბარდ

ფასი განცხადებისა

დიდის ასობით, ასობე ერთი კამეით, ასობით ერთ-  
ლით ასობე სახეობითი კამეით, ასობით ერთ-  
სტრიქონზე რვა კამეით.  
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქციაში კამეებს  
და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოცხადებულ წერილებს,  
დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უარსთი ვერ დაუბეჭდებს  
ავტორს.  
განცხადება მოკლეს ქართულს, რუსულს და სხვა  
ენებზე.  
ქუთაისში განცხადება მოკლეს ქართულს და სხვა  
ენებზე.

ცენტონიკა „დროების“ დასრულებით.

არწრუნის თეატრი.

პირას, 30 იანვარ

ქართული დრამატული დასისაგან  
წარმოდგენილი იქნება

მზის ღაბნილება

კომედია 3 მოქმ. თხზ. ზ. ანტონოვისა.  
დასაწყისი 8 საათზე.

ტელეგრაფი

(„საბრძოლო ტელეგრაფის სააგენტო“)

პარიზი. პრინციპ ნაპოლეონის საქმე  
განმარტვად მარტვა.

სამხედრო მინისტრმა განუცხადა  
სენატის კამისას, რომ პრინციპის  
შვილები ვადდებულნი არ იქმნებიან  
იმსახურენ სამხედრო სამსახურში.  
კამისას წინადადებით არავითარი წე-  
სი არ უნდა იქმნეს შემოდებულ პრინ-  
ციპის (პრინციპების) შესახებ.  
შასუკი წავადა ჭრანისაში გრაფ შამ-  
ბრთან.

მარი. ინგლისელის კაფინის ეგ-  
ვიპტეს მმართველობაში ფინანსიურ  
საქმეებში გამგებლად დანიშნისთა-  
ნავე შერაფ-ფაშამ წარუდგინა თავის  
მოსახრება მთავრობას, რომ საფრან-  
კეთ-ინგლისის კონტრაქტის მოსპო-  
ბა საჭირო იყო, რადგან ამით ჩვე-  
ნი ქვეყნის მოხელეობას (ინფინანსებს)  
შასუხის გება არ ხდებოდათ მოქმე-  
დებში და ეგვიპტეს საქმეებსაც არ  
გახანგრძობენ ამ გზის მსგელე-  
ბათა. ახლად არჩეული გამგებელი—  
კაფინა ვადდებულა იქმნება მოქმე-  
დას მმართველობის სურვილისა მებ.

„დროების“ ფელტონი, 29 იანვარი.

სურათი.

მწკნისთვის დასასრული იყო. ლა-  
მის თორმეტი საათი. ბადრი მთვარე  
ისე ანათებდა ქვეყანას, თითქო ყვე-  
ლასთვის ცხოვლად უნდა დეინახე-  
ბინა, თუ რამდენი საცოდაობა ხდება  
ქვეყანაზე. სა მოკამეებულნი იყო  
მუქ-ლავარდის ფრად და გადაჭედი-  
ლი ვარსკვლავებით. მე ვიჯექ ბალ-  
კონზე და ვსტკებოდი მშვენიერის  
სურათით, რომელიც ჩემ თვალ-წინ  
გამოინახებოდა. მაღლობზედ პატარა  
ქეთიკის ოთახი, იმის გვერდით, ცა-  
ლის მხრით, ზემოდან ქვემოდ ვადმო-  
ჩქვარობდა ნაკადული, რომლის პი-  
რიც ვერცხლის ზოლივით პრილობდა  
მთვარეზე. მეორე მხრივ ღობე-ჩა-  
მორღვეული ვენახი დამკვარხებულის  
ყურძნით და დიდროვანი კაკლის ხე-  
ებით. ირგვლივ სრული სიჩუმე. შო-  
ველ სულდგმულს ჩასძინებოდა თუ  
განაბულიყო, რომ დამტკბარიყო ამ

რუსეთიდან

27 იანვარს.

პეტერბურლი. 21 იანვარს ხელმწი-  
ფე იმპერატორმა ინება დასედა ნი-  
კოლას სან-ჟინერო სასწავლებლისა  
და აკადემიისა.

თერგის ვასანის ჯარის უფროსი  
დენ. სვისტუნოვი დათხოვნილია სამ-  
სახურად.

ხმობას, რომ საქალებს უმადეს  
კურსების საქმე დაბოლოებით გადასწე-  
და. ქალებს-ქიმებს სება ექმნებათ  
იქონიონ კერძო პრაქტიკა ყოველს  
სნეულობაზედ და სამსახურში შევიდ-  
ნენ ქალებისა და ბავშვების სნეულ-  
ბის ექიმებად.

აღმს. ნავთ-სადგური იქმნდება  
ყინულისაგან; გემები დადინ; დიდს  
საქანელს მოეღიან.

გზუთები აღტანებით მიეგებენ  
მინიფსტს და აქებენ გრძობათა სი-  
მადეს.

პეტერბურლი. სამხედრო-განეთიდა  
დაბრუნდა დ. მ. ნიკოლოზ ნიკოლო-  
ვის-ძე.

25 იანვარს დ. მ. ვლადიმერ აღექ-  
სანდრესს გამართული იყო ბაღი;  
250 სულამდე მოწყვეული სტუმრები  
და უზგუსტრესი ოჯახი ჩანდულნი  
იყვნენ მენჯადმეტე საუკუნის ტან-  
საქმეში. ხელმწიფეს ეგვ მუნდი-  
როსანო არტილერისა და იმპერატრი-  
ცას-მეფასა.

1882 წ. 1 იანვრიდან 10 დეკემ-  
ბრამდის რუსის რკინის გზებს ვად-  
მოუტანათ სულ 1244 მილ. ფუთი

მშვენიერი სიტუაციით საესე სალა-  
მოთი. მხოლოდ პატარა ქეთიკის  
ოთახიდან ფეხის აკრფით გამოლო-  
დენ ორი დედაკაცი შავებით და ისევ  
ფეხის აკრფითვე შედიოდნენ ვენახ-  
ში; აქედან გამოჰქონდათ ყურძნით  
სავსე კალათები და ვენახის გვერდით  
მიყურდობულ მხარეს, დიდს გო-  
ლორში ჰყრიდნენ. ბოდრის გვერდით  
იჯდა ახალგაზდა გლეხი და ჩაფიქრე-  
ბული დედა-მიწას ჩასტკეროდა. დედა-  
მიწას—მაშინ, როდესაც ისე მეფუ-  
რად იყო მოკაზმული.  
მაგრამ ცის სიმშვენიერით მხოლოდ  
მადარი კაცის ოცნებას შეუძლიან  
ისარგებლოს და პავლიკა ძვინიკაძის  
კი თავის შავი ფიქრები ისეთ ნაღვე-  
ლას ასმევენდნენ, რომ მარტო დედა-  
მიწისთვის შეეძლო მათი გაზიარება.  
ქაშაში მთვარე კი არ ანათებდა, არა,  
უფრო ცხოვლად უჩვენებდა იმ მიზე-  
ვის სიბნელეს, რომლებს მოწყალე-  
ბითაც ეს ეხლა ქურდულად ჰკრფდა  
თავის პატარა ვენახს.  
მართველ კაცს ღბინით უყვარს

საქანელი, აქედამ შემოსულა 190 მილ. მან.

პეტერბურლის ბირჟა, 25 იანვარს.	
ბანკის ბილეთები:	ზან. ვაზ.
პირველი ვაშოცემისა—	95 1/4—
მეორე—	91—87
მესამე—	91—37
მეოთხე—	91 1/2—
მეხუთე—	91—12
ალმოსავლეთის პირე.—	91 1/2—
ალმოსავლეთის მეორე	91 1/2—
ალმოსავლეთის მესამე	91 1/2—
ოქრო, 1/2 იმპერიალი	8—30
შინაგანის 5 1/2 სესხის ბილეთები:	
პირველი სესხის —	222 1/2—
მეორე სესხის —	218—
100 მანეთი ღირს:	
ლონდონი —	23 23/22 პენსი
ბამბურლი —	202 1/4— ცენტი
პარიჟი —	249 1/2— სანტიმი

დღიური

პეტერბურლის გაზეთებში იწერებან,  
რომ ამ დღეებში სახელმწიფო რჩევის  
თავსმჯდომარესთან იყო სჯა ძავეკისის  
ტრანზიტის თაობაზედა; როცა სჯა  
გათაყვს და ხმები მოკრბეს, აღმოჩნ-  
და, რომ ნახევარი წევრნი კამისიისა  
თხოულობდნენ ამ ტრანზიტის დარ-  
ჩენასა და მეორე ნახევარი კი წინა-  
აღმდეგი იყო ამისა. ამის გამო ამ  
საგნის შესახებ ხელ-მეორედ იქნება  
მოლაპარაკება.

ქალაქის თავის არჩევანის თაობა-  
ზედ ვაზ. „მშაკი“ იწერებან:  
„23 იანვარს ქალაქის თავმა ბ. მა-  
ტინოვმა მოახსენა ქალაქის რჩევას,  
რომ ბ. ლ. ისარლოვის ხმოსნად არ-

რთველი. ის ყოველთვის ახალი დეი-  
ნის კეთებას ძველის ღვინით შეზარ-  
ხოშებული შეუდგება ხოლმე.  
პავლიკაც მხიარული კაცია, მაგრამ  
დღეს კი არ ემხიარულება. წრეულ  
ყანები კალიამ მოუძოვა და ერთად  
ერთი პასუხის მგებელი ათასის ამის  
მოთხოვნილებისა ეს პატარა, ნახევარ  
ღლის ვენახი-ლა!  
— რომელ ერთს გაუძღვე ხუთი  
კოკი ღვინით?—ბუტბუტებდა პავლიკა.  
პური ვიყიდა, ხელმწიფის ხარჯი გა-  
დინდა, თუ ჩემს მოვალეებს პირია-  
ნად ვაფუსწორდე? მჰ, ღმერთო, შენ  
იყავ გაჭირვებული კაცის შემწე!...  
და მხოლოდ ეხლა შეხედა პავლიკამ  
უმნკო მოკაშაშე ღვინის ტაძარს.  
მეორე წელიწადი, ძალზედ გაიზმო-  
რა და პირამდინ საესე გოდორს გა-  
დახედა. სიამოვნების მაგივრად მწარე  
ღამილმა გაუფლავა პირზედ და ნელ-  
ნელა დაიწყო ფეხთ-საცმელების ხდა.  
დედა-კაცმა ისევ ფეხის აკრფით და  
სიჩუმით ღობით წყალი მოიტანა,  
ქმარს ფეხზე გადაელო და შემდეგ

ჩევის თაობაზედ საჩივარი შემოვიდა,  
რადგანაც ის, ხმოსნებს რომ კენჭს  
უყრიდნენ, იმ დროს თავის ყუთთან  
იღვო და ამის გამო ეს არჩევანი  
უკანონოდ უნდა ჩითვალოსო.

„ერთის საათის შემდეგ ქალაქის  
თავს უყარეს კენჭი და ბ. მატინოვი  
ამ დროს თვითონ იჯდა თავის ყუთ-  
თან და კენჭებს თვითონ აძლედა  
ხმოსნებს. ნუ თუ ამ გვარი კენჭის-  
ყრა და ამორჩევა კანონიერად უნდა  
ჩითვალოს!“

ჩვენ ვუპასუხებთ „მშაკს“ და ამას-  
თანავე განვაცხადებთ ჩვენს გაკვირე-  
ბასა, და მწუხარებას, რომ ამ ვაზე-  
თის რედაქტორს — ბ. მ. არწრუნის,  
რომელიც ხმოსნად არის არჩეული,  
ჯერ კიდევ არ გაუცენია „საქალაქო  
წესდებულება“, რომელიც მოყვა-  
ნილია იმის, როგორც ხმოსნის, ყვე-  
ლა უფლება და მოვალეობა:

ამ „საქალაქო წესდებულებაში“  
(§ 51 და 52) გარკვევით მოხსენე-  
ბულია—თუ როდის და რა-და-რა  
შემთხვევაში, რომელ საგნების გან-  
ხილვის დროს არ შეუძლია თავმჯდო-  
მარეობა ქალაქის თავს რჩევაში. ამ  
მუხლებში ორი ამისთანა გარემოებაა  
მოხსენებული: ერთი, როდესა ქალა-  
ქის მამგობის სამართალში ანუ პა-  
სუხის-გებაში მიცემავდ არის სჯა და  
მეორე, როდესაც იმის ჯამაგირის შე-  
სახებ. ძველა დანარჩენ შემთხვევაში  
ის ვალდებულია თავსმჯდომარეობდეს  
ქალაქის რჩევაში და ყოველი გარ-  
დაწყვეტილება რჩევისა უკანონოდ  
ჩითვლება, თუ ქალაქის თავი რჩევის

გოდორს ქვემ ხარის ტყავი გაასწო-  
რა. პავლიკამ პირველი გადიწერა და  
უჩუმრად ყურძენზედ შესდგა. ძარვა  
ხანს, შექმუხნილის შუბლით, თავის  
მძლავრის ღონით სტყლტავდა ყურ-  
ძენს. დედა-კაცებიც თან-და-თან უმა-  
ტებდნენ; მარტო ტკბილს გაუდიოდა  
შეუწყვეტილი მხრილი ქვევრში,  
რომელსაც გოდორს ძარას, ერთის  
წლის სიცარიელის შემდეგ, ხარბად  
დაელო პირი.

შეცბ მოისმა ცხენის ფეხის ხმა.  
მაღე გამოჩნდა მთვარის კაშკაშებდ  
თვით ცხენიც. ცხენზედ იჯდა მოხუ-  
ცი დედაკაცი და წინ აღვირით ხელ-  
ში თორმეტ-ცამეტის წლის ბიჭი მო-  
უძლოდა. მრთ წამზედ ცხენი პავლი-  
კას კარზედ შესდგა. დედაკაცი მარ-  
ჯვედ ვადმოხტა და სჩქაროდ ვენა-  
ხისკენ გასწია. პავლიკა მაღე შენიშ-  
ნა კუნჭულში და მხივით მოულოდ-  
ნელად თავზე დაეცა. არც ერთი და  
არც მეორე ხმას არ იღებდნენ. აქ  
მყოფი უფრო სისწრაფით სტყლტდა  
ყურძენს და მოსული დაკვირვებით

სხლამაზედ იმყოფება და რომელიმე უკანონო საფუძვლით არ თავმჯდომარეობს.

მს არის კანონი. ამბობენ, ბ. ნ. ზუბალოვმა ამ გარემოების თაობაზე, საჩივარი შეიტანა მთავრობასთან და თხოულობს, რომ ეს კერძის-ყრა უკანონოდ ჩაითვალოს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ბ. ზუბალოვი მაშინაც კი შეიტანდა საჩივარს, რომ ბ. მატინოვი თავმჯდომარედ არ ყოფილიყო იმ სხლამაზედ; იტყვია: კრებაზე დაესწრო და ყოველის უმიზეზოდ არ იხება თავმჯდომარეობა.

როგორ დააკმაყოფილებ ამისთანა ხალხს!

შოველ წლის დამოწმების დიდი უკმაყოფილება და საჩივრები ისმის ვაჭრების ტფილისის ხაზინაზე, რომ საკმაო ჩინოვნიკები არა ჰყავსო და ამის გამო დროზედ ვერ გადალევენ ვილდის მოწმობასაო.

ამ გვარივე საჩივრები მუთისილამაც მოგვივიდა: აქურ ხაზინადარმა ჯერ 23 ქრისტეშობისთვის დაიბარა ვილდის მოწმობის მისაცემად რამდენიმე ვაჭრები, რომელნიც ხონილამ, მკპირილამ და სხვა სოფლებილამ იყენენ ჩამოსულნი; 23 რომ მოვიდნენ, 24-სთვის სთხოვა მოსვლაო და ამ დღეს რომ გამოცხადდნენ ხაზინადარმა დაუწყაო ფეხებით ბრახუნნი, ყვირილი და სალდათებით გამოჰყარა გარეთაო.

მართ მთის ოსებთაგანი გვატყობინებს გავრცელებულს ქურდობაზედ, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ხალხსაო. რამდენიმე კაცი შეიყრება თურმე, შეჰკვრენ პირობას, ერთი, ორი ქურდობს და დანაჩენები ვითომც მონაწილეობას მიიღებენ გაქურდულის

შესტკეროდა იმას. ბოლოს ამის თვალის ნესტარს ვეღარ გაუძლო პაე-ლიკამ და ამოიხრით უთხრა:

— რას მიყურებ?.. შეგატყობინეს?.. — შემატყობინეს, შე წუწკა, შემატყობინეს, დაიბაჰყა ბებერმა. ბინდოდა მოგეტყუებინე, შე ძაღლის ნაშობო! მერე ჩემ პატარა ობლებს რაღას ეუბნებოდი? შხამად შეგვგრგოს ის სიმინდი, რომელიც შენ წამოიღე და ზამთარში მშვიერი ცოლ-შვილი გამოიკვებეს! გრე მებეწებოდი, ოლონდ მომე და ორ კოდში კოკა ღვინოს მოგცემო! აი ლაფი კი დავასხი შენ პირობას! — და ძაღვად გადაფურთხა გაასპიტებულმა დედაკაცმა.

— ძარგი, კარგი, მიაღე! გეყოფა მაგდენი გინება. ბანა მე ეხლა კი უარს გეუბნები. აი, ეს ღვინო და ეს შენა. მსე კი, ჩემო მიაღე, რომ ნახევარი უნდა დამაცალო. შელამდინ ვალში ვარ, ხომ იცი სიკვდილმა დამაზარალა. შირნახულიც, დაილოცა ი რაღაც კალია, იმან მომიძოვა და, აბა, ვის როგორ გავსწდგი!..

— როგორ თუ დავაცალო! ბინდოდა ქურდულად დაგეწურა, ცა-

მდგომარეობაში და ვითომც უბოვნიან დაკარგულს. რასაკვირელია, რომ ამ სამსახურისთვის საკმაო ფასს იღებენ. ისეც თურმე მოხდება რომ მოპარულს ხარს დაჰკლონ და პატრონსაც მიიწვევენ და ეს უკანასკნელი-კი ვერ გაბედავს ხმის ამოდებას, თუნდა თავისი საქონელიც იცნოს, რადგანაც ამ შემთხვევაში მოუკლელს არ გაუშვებენო.

იქიდანვე გვატყობინებენ, რომ მხოლოდ ერთს ძველს ჩვეულებასა აქვს ქურდებზედ გავლენა. მს განლავეთ „კატის ჩამოხრჩობა“. აი რას იწერება ერთი ამ გვარი შემთხვევის დამსწრე:

„ერთმა ოსმა სრულიად გაცარცვა და გაქურდა მეორე. მურდი ვერა ღონის ძიებით ვერ გატყენს. ბოლოს დაიძახა პრისტავმა.

— მომიყვანეთ კატ! მურდის მკვდრების სულისთვის უნდა ჩამოვანხრო.“

„მურდს ისე რიგად შეეშინდა ამ შემთხვევისა, რომ მაშინათვე ყოველის ფერი აღარა და ნაქურდალი პატრონს დაუბრუნა.“

მაწათის სკოლის მასწავლებელი გვატყობინებს, რომ, ამ სკოლის სხვადასხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მას გაუმართავს ხელის-მოწერით ფულის მოგროვება დიდი შემწეობა აღმოუჩენიათ ამ საქმისთვის ბარის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორს ბ. სიმონოვს, რომელიც დახმარება იფულის, წიგნებით და სურათებით, კენინა ბაბაღე ბარათაშვილისას, რომელსაც ხელის-მოწერით ფული მოუგროვებდა და მარიამ ძერესელიძისას, — რომელთაც გულათადს მადლობას უცხადებს როგორც იმ ადგილის საზოგადოება, აგრეთვე სკოლის მასწავლებელი. ძველა იმ პირის

რიელზე დაგესვი და ახლა რაღა პირობა მებეწებები?

— არა, მიაღე, მაგას ნუ იფიქრებ. მე შენ თავის დღეში არ მოგატყუებდი! მე თითონვე მოგიტანდი ღვინოს სახლში! არა, შენ კი არა, ადამიანო, წყნარის და მწუხარების ხმით, ეუბნებოდა პაელიკა, ი ოხერი ნიკუა ბალუსტოვი, მინდოდა გამეცურებინა ბუშინ აქ იყო. ჩემს ვენახს შემოაუარა, ყურძენი მუშტრის თვალთ დაათვალიერა და დამემუქრა ხელ პრისტავს მოვიყვანო და ასე ფეხზე ავიწერ ვენახსაო. მეც ვიფიქრე, ვაი, თუ ერთი ურჯულოა, მუქარა აასრულოს მეთქი და ასე მოვანხრე, რომ შენთან მაინც პირი არ გამშავებოდა.

— მჰ, ის ძირტეს მტერი! ბულში ჩაიკრა ხელი მიაღე. სპრიტო რა არის. არა სჯობია ძმურად მოგირიგდე? რამდენი გმართებს, ბიჭო? ჰკითხა სრულიად დაწყნარებულმა და პაელიკას სიმართლეში დაწმუნებულმა დედა-კაცმა.

— რამდენი და განა არ იცი სომხების საქმე, ადამიანო. ხუთი თუმნის თამასუკი აქვს და ხუთი თუმნის პი-

სახელი ვინც ხელს მოაწერს ამ სკოლის სასარგებლოდ გამოცხადებული იქნებოა გავთში.

22-ს ამ თვეს მუშტაიდის მახლობლად ერთს ყმაწვილ კაცს შემთხვევა ჰქონდა რაოდენიმე მანძილი ცხენის რკანის გზით გაეგლო. თუმცა ეს გზა ჯერ არ გახსნილა, მაგრამ მატარებლები-კი დადიან ზოგი ერთს ადგილებში.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ბ. ა. ს. ლულაძეს განუზრახავს გამოსცეს ქართული ყოველ თვიური პედ-გოგიური ჟურნალი და ნება დართვისთვის თხოვნა უკვე წარუდგენია მთავრობასთან. მტვი არ არის, რომ ეს ჟურნალი არამცირედს სარგებლობას მისცემს მოსწავლეებს და მასწავლებელ-მშობლებსაც, რომელთათვისაც საკითხავი წიგნი ასე ცოტა მოიპოვება ამ ქამად ჩვენს ლიტერატურაში.

„მეფე ღირსს“ რეპეტიციებს უკვე შეუდგნენ ჩვენი არტისტები. წარმოდგენის გამართვას 16 თებერვალს აპირებენ.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი ქ. ახალქალაქილამ ბ. ალ. მასაძისაგან:

„21 ქრისტეშობისთვის გასული წლისა, მე მივეცი ახალქალაქის ფორტის კანტორაში ამანათი ჩემი ძმის სახელზედ ქ. მზურგეთში. ამანათი დიდი ფასისა არ ყოფილა, სულ ხუთ მანეთად იყო დაფასებული; მაგრამ იმ ყრმაწვილებისთვის, რომლებისთვისაც მე ვგზავნიდი საახალწლო საჩუქრებს მეტიც ღირდა.

შეკრული იყო იმ წესით და რიგით, როგორც კანონი მოითხოვდა; უამისოდ არც კი მიიღებდნენ კანტორაში.

რობის წერილი; თუ დროზე არ მივეცი დღეში ათი შური ტრაფი უნდა ვაძლიო.

— მერე, შეილო, დიდი ხანია ვადა გადავიდა? მტები რომ სულ წაგართვა?

— წამართმევს, რაღა ჩიჩინი უნდა, თუ მიპოვა რამე, მაგრამ რას წამართმევს, ქვეყანაზე ე ოხერი ბალის მეტი არა გამაჩნია-რა და ამას კი ვერ წამართმევს.

— რატომ, შეილო, ვენახს კი არა ტყავსაც გაგაძრობს და გაგიყიდის. ბანა არ ვიცი რა სისხლის მწოვრებიც არიან. სჯობს შიმშალით სული ამოგძვრეს და სომხისაგან კი ვალი არ უნდა აიღო.

— მა რა მექნა, ჩემო მია, რომ არ ამელო. მაქვაცი ძმა უცებ გამოიფუტდა. მცხედარი სახლში მეღო და რითი დამემარხა? ბანა არ იცი მაგათ მეტს კაცი ვის მიმართავს. იმანაც ნახა, რომ მიჭირს, იმას იქით გზა არსადა მაქვს და მაგეთი მუხრუჭი შემოყარა. ბანა არ ვიციოდი, რომ ვე ვალი დამღუპავდა, მაგრამ ძმას დამარხვა უნდოდა!

„ღღეს რომ ათი დანგარი გახლავს, წერილი მივიღე ძმისგან, რომ ამანათი მას მიუღია სანამ მწოვრები არ იხებოდა და რა? ჩემი ძმა იწერება:

„შენი პასილკა მივიღე, მაგრამ ის ნივთები, რაც უნდა ყოფილიყო შიგორის მეტი არ აღმოჩნდა; ადგილი პასილკისა იყო გატენილი სხვადასხვა უბრალო ნივთებით, ქალაღებით და სხვ. პასილკას გახსნა და ბექტის გატეხა ვერ შევატყუე, ისე იყო შეკერილი; სახლში წავიღე და იქ გავსენი, მოწმეები მყავს. ბანცხადება არ მიმიცია კანტორაში, რადგან პასილკა რომ მივიღე, იმ წამს ვერაფერი შევამჩნიე.“


„ახლა ეფიქრობ და ვერ გამიგია—სად, ვინ და როგორ გახსნეს ეს ჩემი საცოდავი ამანათი და ნუ თუ ამ გვარი შემთხვევები სხვებსაც მოსვლია!“

ჩვენ მივიღეთ გავთში გამოსაცხადებლად შემდეგი წერილი, რომელსაც ხალ-უხლებლად ვებქდავთ:

„შუ. ია. მ. ძასუმოვი თავის პირველათ მოგზაურობას რუსეთში და აგრეთვე ვისტავკის აღნიშნულობას სწერს რუსულს ენაზედაო რომელიც ცენზორნიკომიტეტს გაუშვია დასაბეჭდათ, ამბობენ ძრიელ კარკი მნიშვნელობა აქვსო და დიდი დახლოებითა შეჩინა თავშიო, რომ ყოველის ფერი აუწერნიაო საღ რა უნახამსო ანუ ვისთან რა ლაპარაკი ჰქონიაო. ჯერ-ჯერობით 80 სრული ლისტი აქვს დაწერილიო, ზოგი ერთი იმის ნაწერილგან პეტერბურდის ცენზორნიკომიტეტში უნდა გაიგზავნოსო, რადგანაც მთავრობის ნაწილიც ირიცხება შიგაო. ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ თუ ეს რა ნიჭიერობა არის რომ უსწავლელი კაცი რიტერატურის საქმეშიც ერხევა, რამეთი

— აი, შე გულა-მშვიერო ქართველო, შენა. შენ გინდა მაჯობო და ეშმაკობით ხელიდგან გამიძვრე! აქ მომიციო! ბიჭებო აქ მოდიო, მოიტანეო გოდრები!

მს სიტყვები წარმოსთქვა გულამოვარდილმა ერთმა ბაჯაჯღანა კინტომ, რომელიც თავისის ხნის შესაფერად, მომატებულად იყო ჩასუქებული. ახალუნა, ტიტველა ფეხებზე ჩუსტებ წამოცმული, სიბრაზისაგან და დალღვისგან გაყვითლებულის პირის სახით და ხელების კანკალით დაეტაკა დედა-კაცებს და ორთავეს ხელიდგან წაჰგლიჯა ყურძნის კალათები. იმის ძახილზე მალე მოკვიდნენ ორი თუ სამი იმის მოჯამაგირეები და მოტანილ გოდრებში დაუწყეს კალათებს ცლა. თითონ ნიკუა კი მივარდა პაელიკას და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაუწყაო ნჯღევა. — დაწურე, დაწურე! დაწურულსაც კარგა წავიღებ, დაგიყენებ თვალებს. მეხი კი დავაყარე შენ ბიჭობას ჰო და აი! მითომ მამატყუე რაღა. მენახი ჩუმად დაკრიფე. მა, რა ბიჭია, ტუტუც ვრაცია და! ტყუილად ძმობილო, ტყუილად!



მიდიან და მოდიან უფრო განათლებული ხალხი რუსეთში რომ ის პატრიოტი არ მიუღიანთ რაც ერთ გაუნათლებელ ვაჭარს კაცის შეიღობა მიიღო წარსულის ზაფხულსა, კარკი იქნებოდა უფ. ძასუმოვს თავისი მგზავრობის შენიშვნა ჩქარა დაბოლოვოს და გამოსცეს სახალხოთა“.

**საქართველოს ძველი ისტორიისთვის.**

ჩვენს დროში სასახლოდ მიგვაჩნია და მართლა სასახლოც არის-ძველი ისტორიული მწერლობის ჩხრეკა-კითხვა. მაგრამ სამწუხაროა, ჰემმარიტად, რომ დღემდე ერთი მხრეკელ-აღმომკითხველი ცხოველი ისტორიული მასალებისა არაფერ გვიჩანს. ჩვენ მოგახსენებთ ჩვენი ხალხის მიერ პირად დატულ ძველ ცნობებზედ, რომელთა სრულიადი უარ-ყოფა ყოველად შეუძლებელია. ამ ცნობებს შორის ჩვენ ბევრს ძვირფას მასალას აღმოვიკითხავთ ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის. პატარა ყური ვათხოვოთ.

1, წოდება ჩვენი ქვეყნისა „საქართველო“ დღემდე გაურკვეველია, არ ვიცით დამტკიცებით საიდან წარმოსდგა ეს წოდება. საქართლის ცხოვრება აწარმოვებს მამათ მთავრის ქართლსიდან. აღრევე „მნათობში“ მ. ინგილო ჯანაშვილი აწარმოვებდა „ქა“ — ქალი, „რთველი“ — მთველი, და ამტკიცებდა დედა-კაცის მნიშვნელობით საქართველოს ოჯახობრივ ცხოვრებაში.

ამას წინად ყური მოვკარი ერთ გლეხი კაცის ლაპარაკს, რომელიც თავის მსმენელთ უამბობდა „ამირანის“ ზღაპარს. სხვათა შორის წოდება „საქართველო“ აი როგორ აწარმოვავ, რასაკვირველია, თავის შეუნიშნავად.

„— ამირანი თავის ძმებით მთიდან ჩამოვიდა ბარად სანადიროდ. ჩამოიდა-

რა მართლის ძირობა და ტირიფონის, დიღმის, სამ-ზორის და აზამბურის მანდერებზე ისეთი ქარი-ქარაშტები აუღდათ, რომ კინაღამ დაიხრჩენო. აქედან აბრუნდა მთებში გადმოიხედა ბარად და დაიძახა—სწორედ „ქართაველი“ ყოფილან ყველა ეს მიღამოებიო!“

„მას აქეთ დაერქვა ჩვენს ქვეყანას „სა-ქართ-ველი“, დაუმატა გლეხმა“.

2, ჩვენი ძველი დედა ქალაქის „მცხეთის“ წოდებაც ეგრევეა გაურკვეველი. რეხის ხეობაზე ს. შალაში მე მაქვს გაგონილი ამ წოდების აღსნა.

„— ძველად მეფეებს, მთავრებს სასულიერო, პირნი ერთერთ დალოცავდნენ ხოლმეოდ თავზე ზეთს სცხებდნენო \*). საქართველოს მეფეთა და მთავრების გაბატონება მცხეთაში სრული-იქმნებოდაო. მეფედ, ანუ მთავრად აღრჩეული მივიდოდა წინაშე ერისა და ეტყუაო:

„— მცხეთ თავსა ჩემსა ზეთიო!“ აქედან წარმოსდგა „მცხე-თავი“.

ამ თქმულობათა დაფასება მომავალს ეკუთვნის, შოველ შემთხვევაში ვსთხოვთ ჩვენი წარსულის მოყვარეთ ყურს ათხოვებდნენ ამისთანა ცნობას და გამოაქვეყნებდნენ ხოლმე.

26 იანვარს. ზ. ცხვილეელი.

**ნარკვი**

**ხალხის სიტყვიერების მასალად**

შორაპნის მარაში შეკრებილი შიარები  
ზი-ზი-ზი-ზი ზიანტურნი,  
ჩოხტურნი და ჭიანტურნი,

\*) მკვლეი იუდიანელების მეფედ დამტკიცება ზეგარდადმო მადლით, თავზე ზეთის ცხებით იქმნებოდა.

ამათ ხმაურობაზედ სოფელმა გაიღვიძა, მეზობლებიც სანთლებით მივეშველენ და რის ვაი ვაგლახით ჩხუბი შეწყდა. ძალზე გაბერტყილი და თავ-პარ დასისხლიანებული მალუსტოვი თავის მსახურებით მალე გვეშურნენ სახლისკენ და თუმცა დიდ-გულად იგინებოდა, მაგრამ ცალი თვალი კი ხალხისგან გაკვეთული პავლიკისკენ ეჭირა და გულით თრთოდა.

პავლიკასაც თავი ჰქონდა კეტით გატეხილი და ორ-ტოტად სისხლი გადმოსდიოდა. მარჯვენა ხელით სისხლს იწმენდა და ჩოხის კალთებზე იგლესდა. ბოლოს ცოლი ტირილით მივიდა და თავის შეხვევა დაუწყო:—რა იყო, ბეჩა, რომ ჩხუბი არ გაგემართა? საყვედურობდა ქმარსა. აბა რომ მოეკალი იმ უსულოს, მაშინ რალა გვეშველებოდა! მუშა კაცი თავს გვადგახარ და ლამის შიმშილით გავწყდეთ და შენ რომ არა გვეყანდ, მაშინ რალა გვეშველებოდა?

— იქით გამეცალე. ნუ ღრიალებ, უშენოდაც გულს ცეცხლი მეკიდება. ჩხუბი კი არა რომ მამეკლა კარგს

ქაქუჩელას დაეკარგა ლიკორწმინდას სიარული.

ქამანის გადაძერია, ველარ მოვიყვან ჭკუსსა, მე ვიტი ვაის ჩაგარტყამ, ჩემი ნაჯისის უუსსა.

ნეტამდ მოგცა ვირი, შეჯდები და იული, შემოიფუნ გომიოხსა, ჩამოითსოვ ლობოხსა.

გადმოეურმა კაცისმა ძაღლი გამომისიანსა, არც მიკბინსა, არც მიღრინსა, ტყუულა გამსისსლიანსა.

წყალში იფხი ჩამივარდა წინდა ქალაზნიანო, ჩავკარ სელი ამოვილე ორავული ფრთიანო.

სიტყვსლე აქვს ზაატას ცხენს გურტანს დაადგას, ერთი შენცა მოგაბრუნდეს და კისერში ჩაგარტყას.

არგვეთის ამბავს თუ მკითხავ ბოლქას აქვს დიდი ტყვრი, ცალსი ისე დადგება, როგორც ქვაბში ტკბილი ჯგერი, ორშიმე გაშავებიათ, ღვინოს უდეკთ ღილის ფერი, ღელის წისქვილი დაუმართ, ქალებია მათი ქმეფეელი. ორშაბათ დილა გათენდა, ქვევით მიდის ქალის ჯარნი, ხელ-კადათა ხელთ აცვიათ, დინწი დანა მათი რხმალი, იმათ უნდა მოიტანონ ოდელს და სიღის ფხალი, დემერთმა თავს-ლაფი დასსსს, ვინც იქ გაათხოვოს ქალი.

ვიქმოდი. ჰოი, ისე მწყურნიან მაგის სისხლი, როგორც ახალი დამაჭრებულის გემო! რამდენი ჩემისთანა უბედურია მაგის ხელში. რამდენის სული ტრიალებს მაგის გაქონილ ჯიბეში! აი დიქცეს ის დღე, როდესაც ეგენი გადმოსახლდნენ ჩვენ სოფელში.

ნახევარ საათის შემდეგ, როდესაც ხელ მეორედ გადავიხედე ბალკონიდან შემდეგ სურათს წარმოადგენდა ბრძოლის ველი. მთვარეს ძალზე გადაეწია და სრულიად აღარ ანათებდა ჩემ წინ მდებარე არც მარეს. მარსკვლაევი მთვარის მოშორებით თითქო უფრო ბრწყინავენენ, მაგრამ კი ვერ ანათებდნენ ჩაბნელებულ ღამეს. ბოდორს გვერდით უდგა მათი დიდი კვარის ნაჭრით ხელში და ანათებდა პავლიკასაც და თავის დაღმეჯილ, მაგრამ ძრიელ მეტყველ პირის-სახეს. ამას ეცვა, მწვანე მოვის ქათიბი მხარზედ ყურთმაჯებ შეყრილი, მიხაკის ფერი კაბა ყვითელის მოკლე სარტყლით, თავზე ეხვია კრელი დიდი ქალა და იქიდგან გამოწეწილი ძალზე ჭალარა კავები; ეს გაშტერე-

დელე-დელე ჩავიარე, ქვას გაქონდა ჭანს-ჭყუნს, გოგო შენს ქმარს დაგარტყის, საქორწინო სახლუნი.

**ბამოცანაები**

- 1) დათვი იწვა სროსინებდა, პასკოი-ხი პანს უნებდა.
- 2) დედას შეიღო მოვსტარე, სხვას მივაბარე ეულსა, შეგაკრი შეგასოხინე, თავი მიუგავს სნეულსა.
- 3) ეს ჩემი ზატარა იფინა, ჩემი ჭირი და ღსინია.
- 4) ეს ჩემი ზატარა ბიჭია, ტრიალით არის მაკვა.
- 5) გასტა რვალი—გაყვას ჯარი.
- 6) ეო, მეო, დაგრხილო სეო, სანიქოს ცხენება ხარ, საჯახს სინათლეო.
- 7) თავს სერსი, ბოლქას სამგალი.
- 8) აქლემზედ დიდი, კვერცხზედ ზატარა, ნაღველზედ მწარე, შაქარზედ ტკბილი.
- 9) ერთი თხა მყავდა რემო, მუცელ ქვეშ კბა ენაო, მისი სიტყვა და ზასუსი ქვეყანამ დაიფურაო.
- 10) ძაღლიდანა წამოვიდა კუდ-მოგლეჯილი მელაო, ზურგზედ საგძალი ჭილია, კვარკინ გახერაო.
- 11) ავიბულისა კიბესა, როსტომიანის ცისესა, შევა ღომი და შეკივა, ზედ მარგალიტი შესცვივა.
- 12) შიგნი ჭექა, გარეთ ელვა, კაცის შემსინებულსა.
- 13) გამოცანას მოგასხენებ, გამოცანას ვარგებულსა, სახლს ზატარას ჯალაბისას, ოქროს იფრად ჩაწობილსა.
- 14) ახანოკელი ბატუბი, ერთმანეთს ეხანებოდეს, მათი ნასროლი ფინთისი ხელში იფეს კვადრებოდეს.
- 15) ერთი რამე სულიერი მიწაზედ

ბული შესცქეროდა პავლეს ძირ დალებულს პირი სახეს და თითქოს სცილილობდა ამოვითხა იმაზედ, თუ რა შივი აზრები ტრიალებდნენ იმის გულში. ბოდორში იდგა პავლე, თეთრი ჩერით თავ შეხვეული. და სახეზედ ორ კვილად სისხლის წრეები ჰქონდა ჩაფლილი. მშენიერი შივი თვალები, ლამაზი ცხვირი და შივი ხშირი უღვაში, თითქო უფრო შენოდნენ წითელი სისხლის ზოდებით. ის ღრმად ჩაფიქრებული ჩასცქეროდა გოდორს და ისეთის გაშმაგებით სტყულებდა ყურძენს, თითქო ყურძენი კი არა იმის ფეხ-ქვეშ ათასი ნიკუაბი იყენენ და ეშურებოდა იმათ დასრესას. შორიდან, სურათის დასასრულეგლოდ, სიბნელეში მოჩნდა ეენახი თავისის ახოვანის ხეხილებით და მოისმოდა სევდიანი ჩუხჩუხი პატარა ნაკადულისა, რომლის ტალღებშიაც გვერდიდგან გამოიჭერიტებოდა ცრიავი ჩამამავალი მთვარის სხივები და რალაც მოძრავ ბჭყერიალა ქმნილებას მიავადდა.

კმ. გაბაშვილისა.

დადის ფსიქიკითა, ბორჯღაძუელ შვილებს დაისახსნ დაარჩინებს ბოჭკითა, ვინც ამას კარგად ამისხნის, ხვალ უმისწინდელ გოჭითა.

16) ხე ბრუნდი და ხე მართალი, წვე-რში სუთი კაკალი.

17) მოვიდა შავი მოსვერი, სულ მთლად წაიჭრა სოფელი.

18) ავიბული, დავიბული, კერასუდ დავიბული.

19) თეთრი ქვივს, წითელი ურეკს, ორმა უძისს ჩამოდი.

- 1) წისქვილი, 2) ნამყენი, 3) ფუ-ლი, 4) თითისტარი, 5) კრუხი და წიწილები, 6) ჩამოქნილი სანთელი, 7) მამალი, 8) ნიგოზი, 9) სასწორი, 10) ნიგოზი, 11) საქვაბე და ქვაბი წყლიანი, 12) თოფი, 13) სკის სარა-ჯი, 14) წისქვილის ქეები, 15) ობო-ბი, 16) მკლავი და თითები, 17) ლა-მე, 18) საქვაბე, 19) კბილები, ენა და მუცელი.

**ბზილისის სამაჟრნალო.**

ავადმყოფები მიიღებინ დილის წვა საათიდან თორმეტ საათამდის.

**ო რ შ ა ბ ა თ ს.** გარკვევინი და ლი-სიტევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელ-დიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბუბიაობის, ქა-ლების და უმწვილების ავადმყოფობისა; ბასაჟვი მარღვების სისუსტის და ში-ნაგან ავადმყოფობისა.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს.** მინკევინი—სირურ-გიული ავადმყოფობისა; ლისიტევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სი-ფილისტიკური და სირურგიული ავად-მყოფობისა; ბასუტოვი—ბუბიაობის, ქა-ლების და უმწვილების ავადმყოფობისა; ბასაჟვი და დანიელ-ბუტოვი—მარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ო თ ხ შ ა ბ ა თ ს.** ლისიტევი და მი-რმინოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელ-დიში—სიფილისტიკური და სირურგიუ-ლი ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბუ-ბიაობის ქალების და უმწვილების ავად-მყოფობისა; ბასაჟვი—მარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ს უ თ შ ა ბ ა თ ს.** ლისიტევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილის-ტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბუბიაობის, ქალების და უმწვილების ავადმყოფობისა; ბასაჟვი—მარღვების ავადმყოფობისა.

**ზ ა რ ა ს კ ე ვ ს.** მინკევინი — სირურ-გიული ავადმყოფობისა; ლისიტევი, მი-რმინოვი და დანიელ-ბუტოვი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილის-ტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბუბიაობის, ქალების და უმწვილების ავადმყოფობისა; ბასაჟვი—მარღვების სისუსტის ავადმყოფობისა.

**შ ა ბ ა თ ს.** ლისიტევი—შინაგან ავად-მყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკურ-ი და სირურგიული ავადმყოფობისა;

ბასუტოვი—ბუბიაობის, ქალების და უმწ-ვილების ავადმყოფობისა; ბასაჟვი—მარღ-ს სუსტის ავადმყოფობისა.

**ბანსხაღებანი**

**ქალბქის გამგეობისაგან**

ტფ. ქალბქის გამგეობა ამით აცხა-დებს, რომ ვისაც ქსურს აიღოს იჯარით მოტანა ქვეშა-ნარევი ქვის (გრავი) სულ 140 კუბიკურ საყენისა აფთიავის, ქვე-მო-ბადის, ელისაგეტის, ბუღვარის, ლა-ნარევის, კასეთის და ვარონტოვის ქუ-ჩაბზე მოსაყრელად, — გამოცხადდენ ვა-ტრობასუდ უმწავაში სამშაბათს, 1 თე-ბერვალს ამ სდისს, შუადღესუდ.

კონდიციებისა და სხვა ქალაღებისა ნა-ვა, რომელიც ამ საქმეს შეეხება, მსურველს შეუძლიან ქალბქის უმწავაში მუდამ დილის 10 საათიდან ნაშუადღევს 2-მდინ.

(3—2)

**ინგლისის მღაზიაში**

ზღვის ბალახი ფუთი—2 მ. 40 კ.; ვინც იყიდის ერთად ერთ შეკვრას (9 ფუთამდე) დაეთობა 2 მ. 20 კ. ფუ-თი.

იქვე: ფანრები—30 კ-დამ, საჩაიე-ბი—35 კ., 100 ნემსი—8 კ., პატაუ-კი—20 კ., კანფეთები, პარაშოკი (ბო-რაქს) თეთრეულის სარეცხავად, საე-ქიმო ქალაღი ვატერ-კლოზეტისა-თვის, თაფლის სანთლები 32 კ. ინგლ. გირვ., მაკინტოშები 6 მანეთიდან და სხვ. და სხვ. (10—9)

открыта подписка на газету

**ТЕРЕКЪ**

на 1883 годъ.

Расширяя съ новаго года про-грамму газеты и увеличивая ея раз-мѣръ, редакція „Терека“ имѣть въ виду обратить особенное внима-нiе на вопросы мѣстной Кавказской жизни и ознакомить своихъ читате-лей съ сложившимися и слагающи-мися въ нашемъ краѣ обществен-ными, правовыми и экономически-ми отношенiями, а также съ нуж-дами, нравами и обычаями племень, населяющихъ этотъ обширный, но мало изслѣдованный край.

Газета будетъ выходить три раза въ недѣлю.

Годовая плата съ пересылкою по почтѣ:


На годъ 7 р.; на полгода 4 р.; на 3 мѣс. 2 р. 50 к.; на 1 мѣс. 1 руб.

Подписка принимается въ редак-цiи „Терека“ во Владивавказѣ.

Разсрочка подписной годовой пла-ты допускается: при подпискѣ 3 р., въ апрѣлѣ 2 р., въ августѣ 2 р.

Редакторъ Ин. Вери.

**ინგლისური რძინის კრავოტები**



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწო-ლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მალაზიაში. იქვე ისეიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანჯალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტე-ები, საფანჯები, რეინის კაღებები, ქა-ლაღი, ნინბები, რეკოლეკრები, თოფე-ბი, ვაცისა და ქალის უნჯირები, ალბო-მები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისისა. (100—12)

**ახალი წიგნი**

ისპიდევა შავარდონის ბაჟითის სა-ამანტოში, ბულვარზე

**შემოკლებული**

**სამართველო**

**ისტორია**

შედგენილი რომან სანცივეისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნილ ოთხი აბაზი.

**ინგლისის მღაზიაში**

**თვის ანონსვა-**



**ნიმასკვასტერი**

ამგერეს თბის და ადრინდედ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუ-მისა 2 მან., გავზავნილ 2 მანეთი და 28 კაზ. (100—35)

აქვე ისეიდება ქინის ზომად თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სწოტკები თავის ტვიგილის მასასზობლად, ტუაღეტის სა-ზონი, დუხები და სხვ.

**ბიბლიოგრაფიული განხილვა.**

სახელმძღვანელო რუსული ენისა ქართულთათვის, შედგენილი

გ. კალანდარიშვილის მიერ, მეშვიდე გამოცემა, შეცვლილი და დამატე-ბული იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა ხმის ანაბალღებელი ნიშნე-ბით (სუ უდარენიამი) და ისეიდება გამომცემლის შაქარია ბრიტურ-ვის წიგნის მღაზიაში გუგის სიდის უერთან. ფასი ათი შაური. ვინც იყიდის ერთად ნაღდს ფულსუდ ოცსა ან მეტს ეგზემპლიარსა, წიგნი დაეთობა ცხრა შაურათა. ვისაც უდინა წიგნი სურს, ამ ფასს უნდა დაუ-მატოს სამი შაური. გრიჭოროვის მღაზიაშივე ისეიდება ყოველ გვანი სა-სულმძღვანელო ქართული, რუსული, სომხური და თათრული. გარე-ქალაქე-ბიდან და ადგილებიდან ყოველ გვანს დაბარებულებას მღაზია ასრულებს დაუგვიანებელი.

ბუნების ძარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასე-ბში სასმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისეიდება გრიჭოროვის წიგნის მღაზიაში, გუ-გის სიდის უერთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო ბირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულსუდ ერთად თხუთმეტს ეგზემ-პლიარსა, ანუ მომეტებულსა, დაეთობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ორმოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. უდისათვის უნდა დამატოს სამი შაური.

ძარბა სამართველონი, მეორე შეცვებული გამოცემა; ისეიდება იმავე მღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მიეღველს—ათს შაურად.